ხაშურის რაიონული სასამართლოს ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ III თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია ხაშურის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულა შემდეგი საჯარო მოსამსახურის მიერ:
ნინო გოგალაძე - ხაშურის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი -2007 წლის 17 ოქტომბრიდან ხაშურის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას და ა.შ.

2024 წლის განმავლობაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა ხუთი ფიზიკური პირის, ექვსი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის განცხადება. მათ შორის დაკმაყოფილდა ოთხი, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სამი, ხოლო ოთხს ეთქვა უარი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული სამი გადაწყვეტილება გასაჩივრდა, რომლებზეც შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა ხაშურის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და დარღვევაზე პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ საბანკო გადახდის ქვითარი ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნის გამო.

ნინო გოგალაძე

ხაშურის რაიონულ სასამართლოში
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი